41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო ყვარლელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ყვარლის მერობის კანდიდატისა და ყვარლის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ყვარლის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ყვარელი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ყვარლის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს ყვარლის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 4 მლნ 965 ათასი ლარი იყო, 2021 წელს – საპროგნოზო მაჩვენებელი 11 მლნ 151 ათასი ლარია. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიც – თუ 2013 წელს ყვარლის ბიუჯეტმა გადასახადების ნაწილში საკუთარი შემოსავლების სახით 1 მლნ 535 ათასი ლარი მიიღო, 2021 წლის მდგომარეობით, საპროგნოზოდ – 10 388 მლნ ლარს შეადგენს.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

ყვარლის მუნიციპალიტეტში, 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 2 პროექტი** (ჯამურად 3 558 217 ლარი, თანამონაწილეობა 1 000 166 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 88 პროექტი. (ჯამურად 7 030 081 ლარი, თანამონაწილეობა 2 779 231 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 328 ჰექტარზე განხორციელდა 86 პროექტი (ჯამურად 2 886 570 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 16 932 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 155 312 021 ლარი), რითაც 3 758-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებს სტიქიით მიყენებული ზარალი 9 456 441 ლარით აუნაზღაურდათ. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეს მოქმედებს 29 კოოპერატივი (468 მეპაიე, კაპიტალი 1 333 224 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, 1 811-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და ჯამურად 371 144 376 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 49 719 046 ლარი). **მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 39 პროექტი (ჯამურად 1 197 538 ლარი, თანადაფინანსება 474 708 ლარი). 2019 წელს ამოქმედებული **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამით** შესყიდულია 1 870 059 ლარის ტექნიკა (თანამონაწილეობა 900 820 ლარი). 2020 წლიდან ხორციელდება **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამა** (6 პროექტი ჯამურად 1 202 160 ლარი, თანადაფინანსება 887 030 ლარი) და **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** (31 პროექტი ჯამურად 1 590 702 ლარი, თანადაფინანსება 825 757 ლარი). კახეთი ქართული მეღვინეობის უმთავრესი რეგიონია. შესაბამისად, სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას უთმობს რთვლის ეფექტიანად წარმართვას – ყვარელში, 2013-2020 წლებში, **გადამუშავებულია ჯამურად 299,09 ათასი ტონა ყურძენი** (მოსავლის ღირებულება 264,14 მლნ ლარი). 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფო უსასყიდლოდ ახორციელებს სხვადასხვა **ვეტერინარულ ღონისძიებას**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ყვარლის მუნიციპალიტეტში, დაფინანსდა 1 საწარმო (350 000 ლარი, დასაქმდა 8 ადამიანი). **ამავე პროგრამის სასტუმროს კომპონენტში** ხელშეკრულება გაფორმდა 5 სასტუმროსთან, აქედან, 2021 წლის ივნისის მდგომარეობით, ხელი შეეწყო 4 სასტუმროს მშენებლობას (ჯამურად 32 803 890 ლარი, დასაქმდა 220 ადამიანი, ყვარელს 187 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 292 279 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 383 580 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 34 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 12, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 22 პროექტი).

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება. „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.

2013-2021 წლებში, კახეთის რეგიონში, ექსპლოატაციაში შევიდა 7 ჰიდროელექტროსადგური – ხადორიჰესი 2, შილდაჰესი, ალაზანიჰესი 2, ახმეტაჰესი, ფშაველაჰესი, შილდაჰესი 1, ავანი ჰესი 3,50. მათი დადგმული სიმძლავრე ჯამურად 32 მგვტ-ია, ჯამური ინვესტიცია 39 მლნ აშშ დოლარი. **კახეთის რეგიონში იგეგმება შემდეგი ენერგეტიკული პროექტები**: **სტორიჰესი-1** – 18,3 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე 20 მგვტ; **სამყურისწყალიჰესი-1** – 6,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,8 მგვტ; **სამყურისწყალიჰესი-2** – 39,6 მლნ აშშ დოლარი, დადგმ, სიმძლავრე – 26 მგვტ; **ხადორიჰესი-3** – 6,2 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5,4 მგვტ; **ლოპოტა ჰესი 1** – 16 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 8 მგვტ; **ბაისუბანი ჰესი** – 5,1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5,34 მგვტ; **ახალსოფელი ჰესი –** 5,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 5 მგვტ; **სტორი 2 ჰესი –** 20,7 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 11,4 მგვტ; **სტორი 3 ჰესი –** 7 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4 მგვტ; **ფონა ჰესი –** 11,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 10,6 მგვტ; **დეკა ჰესი –** 1,79 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 1,2 მგვტ; **საჩალე ჰესი –** 1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 0,7 მგვტ. **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა მზის ელექტროსადგურების** პროექტები, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 80 მგვტ-ს აჭარბებს, გამომუშავება 110 მლნ კვტ/სთ-ს უტოლდება (დამატებით 50 მლნ აშშ დოლარამდე ინვესტიცია).

ყვარლის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 2 620 აბონენტი. 2013-2017 წლებში, 454 აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განვითარების მიზნით, 2013-2016 წლებში, ყვარლის მუნიციპალიტეტში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ეგიდით, **განხორციელდა რამდენიმე ტურისტული პროექტი:** პროექტით „ღვინის გზა“ ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი; ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციების მონტაჟი, საინფორმაციო-საორიენტაციო შინაარსის სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებულია რუკა და სანახავი ობიექტების რეკომენდირებული სია; შემუშავდა ინკლუზიური ტურისტული მარშრუტები

პროგრამით „აწარმოე საქართველოში“, კომპანია „ყვარლის ბაგა“ დაფინანსდა

და მომზადდა შესაბამისი რუკები. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში ჩატარდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. მიმდინარეობს ტურისტული მარშრუტების კვლევის პროექტი.

2013 წლიდან დღემდე, მუნიციპალიტეტის მერიამ **ტურისტულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე** დახარჯა 3 845 826 ლარი, რომელიც ძირითადად მოხმარდა სარეკრეაციო პარკებისა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაციას, ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისთვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

კლიმატის მწვანე ფონდმა (GCF), 2020 წლის აგვისტოში, დაამტკიცა 32,7 მლნ ევროს გრანტი, რომლის მთავარი მიზნებია: საქართველოში სატყეო სექტორის წვლილის შეტანა კლიმატის ცვლილების შერბილებაში და მიმდინარე სატყეო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა. პროექტის მოიცავს საქართველოს სამ რეგიონის, გურიის, მცხეთა-მთიანეთის და კახეთის 8 მუნიციპალიტეტს (ახმეტა, თელავი, დედოფლისწყარო, **ყვარელი**, თიანეთი, ლანჩხუთი ოზურგეთი და ჩოხატაური, 2021-2027 წ.წ.).

2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, მოსახლეობაზე გაცემულია 72 ათასი კუბ.მ **მერქნული რესურსი.** ბიომასისა და წვრილმზომ სამასალე მერქანზე (ჭიგო, სარი, ბოძი) მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, 2017-2018 წლებში, მოეწყობა სწრაფმზარდი ხეების სახეობების პლანტაცია 10 ჰექტარზე. 2019-2021 წლებში, მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.**

2014-2021 წლებში, ყვარელი-ლაგოდეხის სატყეო უბნის ტერიტორიაზე, ხე-ტყის ორგანიზებული დამზადების ფარგლებში, დამზადდა 13 063,6 კუბ.მ ხე-ტყე. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება**.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს** და ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. ყოველწლიურად მიმდინარეობს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ასევე მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 8 წყალპუნქტზე;

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, ყვარელის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, ყვარელში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 13 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 8 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ ხელისუფლებამ 7 მლნ 535 ათასი ლარის კომპენსაცია გამოიყო.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წ.წ. მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა, შედეგად, ყვარლის 6 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 820 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

2014-2020 წლებში, ყვარლის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 5 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. ყვარელში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება შემდეგი წყალმომარაგების პროექტები:

- სოფ. საბუე, სასმელი წყლის სამარაგო ავზის შემავსებელ-დამხარჯავი მილებისა და კვანძების მოწყობა (სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია) – 405 626 ლ;
- სოფ. წიწკანაანთსერი, სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია – 16 880 ლ;
- სოფ. გრძელიჭალა, სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია – 14 544 ლ;
- სოფ. სანავარდო, სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია – 15 996 ლ;
- სოფ. ალმატი, სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია – 15 994 ლ;
- სოფ. შილდა, სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის შემოღობვა – 19 997 ლ;
- სოფ. თხილისწყარო, სასმელი წყლის ჭაბურღილისა და ქსელის რეაბილიტაცია 10 000 ლ;
- სოფ. ჩანტლისყური, გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხის მოწყობა – 15 998 ლ.

ყვარელში გარეგანათების ქსელის რეაბილიტაცია

2021-2022 წლებისთვის, ყვარლის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. ჭიკაანი, შიდაგზების (იმერლების უბანი) მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა – 1 226 110 ლ;–
- სოფ. საცხენესთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 9 991 ლ;
- სოფ. ზინობიანი, გარეგანათების მოწყობა – 11 986 ლ;
- ქ. ყვარელი გარეგანათების სრული რეაბილიტაცია – 338 501 ლ;
- სოფ. ახალსოფელი, II უბნის მოასფალტება – 729 550 ლ;
- სოფ. ახალსოფელის I-II-III უბნების ნაწილობრივი რეაბილიტაცია – 400 000 ლ;
- ქ. ყვარელი, სასაფლაოს გზის მოასფალტება – 275 106 ლ;
- ქ. ყვარელი, არსებული არიხაურის არხის რეაბილიტაცია – 183 640 ლ;
- სოფ. წიწკანაათსერი, სკოლასთან მისასვლელი გზის მოასფალტება – 321 826 ლ;
- სოფ. კუჭატანში შიდაგზების მოაფალტება – 248 847 ლ;
- ქ. ყვარელი, ილია ჭავჭავაძის და კუდიგორის ქ. დაზიანებული სანიაღვრე ჭებისა და ქვაფენილის რეაბილიტაცია – 34 138 ლ;
- ქ. ყვარელი, ვაჟა ფშაველას ჩიხი, სანიაღვრზე ლითონის ცხაურების მოწყობა – 11 175 ლ;
- ქ. ყვარელი, პეტრე იბერის I ჩიხი, სანიაღვრე არხის მოწყობა – 6 050 ლ;
- ქ. ყვარელი, პეტრე იბერის ქ. სანიაღვრე არხის მოწყობა – 4 638 ლ;
- ქ. ყვარელი, აღდგომის ქ. სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია – 5 986 ლ;
- ქ. ყვარელი, აღდგომის I ჩიხი, სანიაღვრე არხის მოწყობა – 15 567 ლ;
- ქ. ყვარელი, „არიხაურის“ არხზე გადასავლელი ბოგირის მოწყობა – 10 916 ლ;
- ქ. ყვარელი, ჩოლოყაშვილის ქ. IV ჩიხი, სანიაღვრე არხის მოწყობა – 12 901 ლ;
- ქ. ყვარელში თეატრის ჩრდილოეთით საპირფარეშოს მოწყობა – 9 164 ლ;
- ქ. ყვარელი, ე.წ. აღმასკომის შენობის სველი წერტილების რეაბილიტაცია – 43 041 ლ;
- ქ. ყვარელი, ,,60 ბინიანებთან“ სკვერის რეაბილიტაცია – 46 931 ლ;
- ქ. ყვარელი, პოლიციის შენობასთან ავტოფარეხის მოწყობა – 5 566 ლ;
- ქ. ყვარელი, ბაგა ბაღი „გვირილას“ სამხრეთით, ტერიტორიის გასუფთავება და ლითონის ღობის მოწყობა – 31 219 ლ;
- გაგრძელდება კახეთის მიმართულებით ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა, მათ შორის, დასრულდება გურჯაანის შემოვლითი გზის 15-კმ-იანი, თბილისი-საგარეჯოს 35-კმ-იანი და ბაკურციხე-წნორის 16-კმ-იანი მაგისტრალების მშენებლობა.

ახალსოფელში შიდასაუბნო გზების მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა

ᲒᲘᲕᲘ ᲖᲐᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑ!“

ᲘᲛ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ, ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲨᲝᲠᲔᲑᲘᲐ. ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲠᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ – ᲑᲝᲚᲝᲡ ᲙᲘ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲓᲐᲜ ᲘᲡᲔᲕ ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲛᲔᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ. ᲛᲘᲐᲩᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲪ ᲨᲔᲡᲬᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲐᲪ. ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲠᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲧᲕᲐᲠᲚᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ ᲒᲐᲐᲒᲠᲫᲔᲚᲝᲡ.

Მ.Პ.Გ. „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲒᲘᲕᲘ ᲖᲐᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲕᲘᲛᲮᲔᲚᲡ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲕᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲔᲢᲐ�პᲔᲑᲡᲐᲪ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ.

– ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲒᲘᲕᲘ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲔᲗ. ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲠᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ?

– დიახ, მთელი ცხოვრება ყვარელში გავატარე და მეამაყება, რომ ჩემს ოჯახს მუნიციპალიტეტში წესიერებითა და პატიოსნებით იცნობენ. დედა, რუსუდან ბაიდოშვილი, წლების განმავლობაში ღირსეულად უძღვებოდა ფიზიკის სწავლებას ყვარლის №2 საჯარო სკოლაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გამზრდელი ბაბოს თვალის ჩინის დაკარგვის გამო მოუწია თავისი საყვარელი პროფესიის დატოვება, დღესაც დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობს როგორც მოსწავლეებს, ისე პედაგოგიურ კოლექტივს შორის. მამა, ვახტანგ ზაუტაშვილი, პროფესიით ისტორიკოსია და ამჟამად მეწარმეობითაა დაკავებული. რადგან საკუთარი ვენახი არ გვაქვს, ვყიდულობთ ყურძენს და ვწურავთ ღვინოს, საოჯახო მარანი გვაქვს ყვარელში. მყავს სამი წლით უმცროსი ძმა, ნიკა ზაუტაშვილი. დაოჯახებულია და ჰყავს მეუღლე და 2 წლის ილიკო. ისიც საოჯახო ბიზნესითაა დაკავებული.

ლაღი ბავშვობა მქონდა, 5 ბიძაშვილი ბიჭი ვიყავით, ვერთობოდით, ვცელქობდით და პაპას, ვალიკო ზაუტაშვილსაც ვეხმარებოდით ვენახის მოვლაში. ვიზრდებოდი თბილ, მოსიყვარულე გარემოში. მშობლები გამოირჩეოდნენ ჩვენს მიმართ უდიდესი მზრუნველობითა და სიყვარულით. სწორედ მათი დამსახურებით გავიკვალე გზა. უდავოდ დიდია მათი დამსახურება ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში. სიამაყით აღვნიშნავ იმასაც, რომ დედაჩემი ღირსეულად აგრძელებს ოჯახის ტრადიციას, ის სამაგალითო დედა, მეუღლე და ბებიაა.

რაც შეეხება სწავლის პერიოდს, არ მახსოვს, ვინმეს სწავლა დაეძალებინა, არ მჭირდებოდა, გრაფიკი მქონდა შედგენილი და ვმეცადინეობდი, ჰუმანიტარული საგნები ძალიან მიყვარდა, განსაკუთრებით მიტაცებდა ისტორია.

– ეს ალბათ მამის გავლენა იყო. ისე, საინტერესოა, ისტორიკოსი და მეწარმე მამა, როგორ აფასებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს და მისი შეფასებით, ხელისუფლებისგან მეწარმეებს ხელშეწყობა თუ აქვთ?

– მამა „ქართული ოცნების“ გულშემატკივარია. მოსწონს ის გეზი, რაც მმართველ გუნდს აქვს აღებული. მოსწონს ხელისუფლების მიერ არაერთი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ რაღაც საკითხები მოსაგვარებელია. მამა ჩემი კარგი მრჩეველია და გონივრულ მითითებებსაც მაძლევს, რა უნდა გაკეთდეს მუნიციპალიტეტში, რომ ყვარელი უფრო განვითარდეს. ობიექტური შემფასებელია და მისი მოსაზრება ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია. რაც შეეხება მეწარმეებს, ხელისუფლება მათი გულშემატკივარი და ხელშემწყობია. ბიზნესი დაცულია და ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ საქმიანობა მშვიდად წარმართო, განავითარო. სახელმწიფო ნამდვილად უდგას გვერდში მეწარმეებს.

– ხელისუფლების მხრიდან მეწარმეების თანადგომა რაში გამოიხატება?

– თუნდაც იმ სახელმწიფო ხელშემწყობ პროგრამებში, რასაც მთავრობა მეწარმეებს სთავაზობს. იქნება ეს „აწარმოე საქართველოში“, „დანერგე მომავალი“, „იაფი კრედიტი“ თუ სხვა. მიხარია, რომ ყვარელში არაერთმა ადამიანმა ისარგებლა ამ პროგრამებით და გააკეთა მცირე მარნები, ააშენა სასტუმროები, გახსნა საწარმოები და ამას ადგილობრივები, ცხადია, სახელმწიფოს დახმარების გარეშე ვერ მოახერხებდნენ.

– ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲒᲘᲕᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲖᲔ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲘᲢᲔᲗ?

დაიბადა 1982 წელს, თელავში. 1999 წელს დაამთავრა ყვარლის აკაკი წერეთლის სახელობის №2 საჯარო სკოლა. 2000 წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე. 2005 წელს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სპეციალობა – სამართალმცოდნეობა, იურისტი. 2006-2007 წლებში ეკავა ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის პოზიცია; 2007-2011 წლებში იყო ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში. 2011-2012 წლებში მუშაობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის ყვარლის ცენტრის კოორდინატორად.

2014-2017 წლებში მუშაობა განაგრძო ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების საკითხთა დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსად. 2017-2020 წლებში იყო ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე. 2020 წლიდან დღემდე მუშაობს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის პოზიციაზე.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– ალბათ იმიტომ, რომ ზოგადად, წესრიგი მიყვარს. ვფიქრობდი, ამ პროფესიით შევძლებდი გარკვეული წვლილი შემეტანა ჩემი ქვეყნის განვითარებაში და სამშობლოს გამოვადგებოდი. სისხლის სამართლის მიმართულება მქონდა არჩეული. როცა სწავლა დავამთავრე, პროკურატურის მოხელეთა საკვალიფიკაციო გამოცდაც ჩავაბარე და სხვა გეგმები მქონდა, მაგრამ ყვარელში დავბრუნდი. გამგეობაში იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ვაკანსია იყო. თბილისში ბინა არ გვქონდა და ვიფიქრე, ამ თანამდებობაზე დავიწყებ მუშაობას და რაღაც პერიოდის მერე, სამსახურს შევიცვლი, თუკი მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ არის მეთქი.

– მაგრამ მიხვდით, რომ გამგეობაში მუშაობა თქვენი საქმე იყო. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პოზიცია გეკავათ. რომელი იყო მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი?

– დიახ, გამგეობაში სხვადასხვა პოზიცია შევიცვალე. თითოეული მათგანი საპასუხისმგებლო იყო. ჯერ სამსახურის უფროსი ვიყავი. თვითმმართველობის კოდექსში ცვლილების შემდეგ ეს სამსახური გაუქმდა და ადმინისტრაციულ სამსახურში მთავარ სპეციალისტად გადავედი. ჩემში ყოველთვის იყო განცდა, რაღაც ახალიც მომესინჯა და მოგვიანებით მუშაობა დავიწყე განათლების სამინისტროს მანდატურის სამსახურში, ყვარლის ცენტრის კოორდინატორად, მაგრამ ეს სამსახური მალე დავტოვე.

– მანდატურის სამსახურში 2011-2012 წლებში იმუშავეთ. რა გახდა სამსახურიდან წამოსვლის მიზეზი?

– სიმართლე გითხრათ, აბსოლუტურად სხვა სამსახურში მივედი და რამდენიმე თვეში საერთოდ სხვაგან აღმოვჩნდი. ჩემი მიდგომები არ მოეწონათ და ყველანაირი დასაბუთების გარეშე გამომიშვეს. არჩევნები ახლოვდებოდა და სკოლა მაშინ რაღაც სადამსჯელო დაწესებულებად, პოლიტიკურ იარაღად იქცა. მხოლოდ მასწავლებლებზე კი არა, უკვე მშობლებზეც ხდებოდა ზეწოლა. ეს ჩემთვის მიუღებელი იყო. ჩემი პრინციპები მაქვს. ყვარელში დაბადებულ-გაზრდილი ვარ, ჩემი შვილები ყვარელში იზრდებიან, ჩემი გვარი აქედანაა და არ ვაპირებ, ცხოვრებაში ისეთი ნაბიჯი გადავდგა, ჩემს ოჯახს წინ ცუდად დაუხვდეს. ვერ შევასრულებდი იმ დავალებებს, რასაც მაძლევდნენ და ამიტომ გავხდი მიუღებელი. იქ ჩემი ადგილი არ იყო.

– სამაგიეროდ, თქვენი ადგილი „ქართული ოცნების“ რიგებში აღმოჩნდა. ამ გუნდის წევრი რატომ ხართ?

– დიახ, ჩემი ადგილი აღმოჩნდა „ქართულ ოცნებაში“, მაგრამ არა იმიტომ, რომ უმუშევარი ვიყავი და რაიმე პირადი ინტერესი მქონდა. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლამდე ძალიან ბევრი რამის მიმართ გამიჩნდა პროტესტი. ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, „ქართული ოცნების“ გვერდით დავმდგარიყავი. ჩემი და ამ გუნდის ხედვები, პრინციპები და ღირებულებები თანხვედრაშია. ჩვენთვის მთავარი არის ადამიანი, მისი თავისუფლება და ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი.

– ანუ თქვენ, როგორც იურისტი ამბობთ, რომ დღეს საქართველოში ადამიანის უფლებები დაცულია და სიტყვის თავისუფლებაცაა?

– დიახ, ადამიანის უფლებები დაცულია და სიტყვის თავისუფლებაა იმ ხარისხით, რომ სამწუხაროდ, ზოგი ამას სხვაგვარად იგებს და იყენებს. „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი 2014 წელს გავხდი. მანამდე მამასთან და პაპასთან

ერთად, ერთ-ერთ კომპანიაში ვმუშაობდი, რომელიც სასტუმრო კომპლექსს აშენებდა. სხვა სამუშაოებთან ერთად, ხეხილის დარგვის პროცესში ვმონაწილეობდი და დაახლოებით 7 ათასი ვაშლის ნერგი დავრგეთ. არჩევნების შემდეგ ქონების მართვის განყოფილების ხელმძღვანელად დავინიშნე. ჩემი ფუნქცია იყო ქონების განკარგვა, სტატისტიკის წარმოება, რეგისტრაცია...

– კახეთში მიწები არ გაქვთ. გულწრფელად მითხარით, ქონების მართვის განყოფილების ხელმძღვანელის მოვალეობა არაპატიოსნად რომ შეგესრულებინათ, რამე მიწას ვერ დაირეგისტრირებდით?

– უპრობლემოდ მოვახერხებდი ამას, წესიერებასა და კეთილსინდისიერებაზე რომ ამეღო ხელი. სხვათა შორის, ახლაც ვარ მაგ კომისიის თავმჯდომარე და ვფიქრობ, რომ ყველაზე დიდი და სამართლიანი გადაწყვეტილებები სწორედ ამ პოზიციაზე მაქვს მიღებული. ისე, ამ კომისიის მიმართ თავიდან უარყოფითი დამოკიდებულება იყო. ხალხს ეგონა, ვინც რა განაცხადს შემოიტანდა ყველას ყველაფერს დავუკანონებდით. ფაქტობრივად, ამ კომისიაში რეფორმა მოვახდინე და დღეს ადგილობრივები ხვდებიან მის მნიშვნელობას.

– ასეთი წარმატებული იყო თქვენი მუშაობა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეობის პერიოდშიც და გამარჯვების შემთხვევაში რა გეგმები გაქვთ?

– ზოგადად, მერიის მუშაობა იყო ეფექტური. ყვარლის მუნიციპალიტეტში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში ბოლო წლებში, მნიშვნელოვანი პროექტები დაიწყო ან დაიგეგმა. არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტიც იყო დაგეგმილი, მაგრამ შეაფერხა გამოწვევამ, რომლის წინაშე ყვარელი დღემდე დგას. ეს არის წყლისა და კანალიზაციის საკითხი, რომელიც აუცილებლად მოგვარდება. ადგილობრივების მოთხოვნაა ასევე ყვარელში საავადმყოფოს აშენება. გვაქვს მხოლოდ პირველადი დახმარების ცენტრი. პაციენტების გადაყვანა კი თელავში, ლაგოდეხში, ახმეტაში გვიწევს. ვალდებული ვარ და ძალისხმევას არ დავიშურებ, რომ ეს საკითხი როგორმე გადავჭრათ სასიკეთოდ. მინდა, ასევე მუნიციპალიტეტს ერთი რეანიმობილი მაინც ჰქონდეს, მძიმე პაციენტების გადასაყვანად. გამარჯვების შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ ახალგაზრდების ხელშეწყობას. ყვარელში ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს და მათ გვერდით უნდა დავუდგეთ, გარკვეული პროექტებით მივეხმაროთ, რათა განვითარდნენ, სპორტული და კულტურული ცხოვრების შესაძლებლობა და პირობები ჰქონდეთ და მუნიციპალიტეტიდან წასვლის სურვილი არ გაუჩნდეთ. სხვათა შორის, მუნიციპალიტეტის ინიციატივით, ახალგაზრდებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. ნებისმიერ, 26 წლამდე ადამიანს, ჰქონდა შესაძლებლობა წარმოედგინა იდეა, კომისია განიხილავდა და მოწონების შემთხვევაში, დააფინანსებდა.

– მერე, იაქტიურეს ახალგაზრდებმა და რა პროექტები განახორციელეს ამ თქვენი დახმარებით?

– სიმართლე გითხრათ, თავიდან ამ პროექტს ძალიან სკეპტიკურად უყურებდნენ. ნელ-ნელა გააქტიურდნენ და არაერთმა ახალგაზრდამ შემოიტანა განაცხადი.

ზოგმა სათბური გააკეთა, ზოგმა საკერავი მანქანა შეიძინა და თვითდასაქმდა, ზოგმა პროფესიული განათლება დაიფინანსა... ახალგაზრდების ხელშეწყობას მომავალშიც აუცილებლად გავაგრძელებ. ძალიან დიდ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას ვგრძნობ და მინდა, რომ ჩემი ქალაქი იყოს ყველაზე კეთილმოწყობილი, სუფთა უნდა გამოვიყენოთ მისი ყველა პოტენციალი. ტურიზმი ყვარლის განვითარების უდიდესი პერსპექტივაა. სამწუხაროდ, ეს სფერო ძალიან დააზარალა პანდემიამ. განსაკუთრებულად, სარესტორნო მიმართულება. ტურიზმს მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი, თუმცა მანამდე, აუცილებელია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ასევე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა. ჩვენთან მევენახეობა-მეღვინეობა ძალიან განვითარებულია. ბევრმა ადგილობრივმა ისარგებლა სოფლის მეურნეობის პროგრამებით. მათ შესახებ მეტი ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ მოქალაქეებს. კარგია, რომ პანდემიის პირობებში ხელისუფლებამ რთველის სუბსიდირება გადაწყვიტა. ეს ნამდვილად გლეხის ინტერესების გათვალისწინებით გადადგმული ნაბიჯია.

– ეს ნაბიჯები ადასტურებს, რომ ხელისუფლებისთვის რეგიონული განვითარება პრიორიტეტია?

– რა თქმა უნდა... ამას ადასტურებს პრემიერის ინიციატივა რეგიონების მასშტაბური განახლების შესახებ. ეს მხოლოდ ინიციატივა არ არის და უკვე დაწყებულია სამუშაოები. ჩვენთანაც, ყვარლის შემოსასვლელში, საერთო საცხოვრებელი კორპუსების მთლიანი რეაბილიტაცია დავიწყეთ და მოსახლეობა ძალიან კმაყოფილია. პროცესი გაგრძელდება. ხალხი ხედავს ხელისუფლების ამ დამოკიდებულებას და დარწმუნებული ვარ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებს და „ქართულ ოცნებას“ მხარს დაუჭერს.

– და ყვარლის მერის თანამდებობაზე თქვენ დაგიჭერენ მხარს?

– დიახ. არ მიყვარს საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ ყვარელში გავიზარდე, მთელი ცხოვრება აქ გავატარე, ყვარელში ბევრს ვიცნობ, მაქვს განსაკუთრებული ურთიერთობები და ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი – მაქვს საკმაო ავტორიტეტიც. უამრავმა ადამიანმა გამოხატა კმაყოფილება იმის გამო, რომ გუნდმა ჩემი კანდიდატურა წარადგინა. მხარდაჭერას ვგრძნობ და დარწმუნებული ვარ, პირველივე ტურში გავიმარჯვებ!

– რით იქნებით გამორჩეული მერი?

– იმით, რომ ნებისმიერი ადამიანისთვის ჩემი კარი ყოველთვის იქნება ღია. მოვუსმენ მათ და მაქსიმალურად დავუდგები გვერდით. ვგულისხმობ ჩემს თანამშრომლებსაც, რადგან ვერანაირ გრანდიოზულ გეგმას ვერ განახორციელებ შეკრული, კარგი გუნდის გარეშე. მათგან კრიტიკასაც მოვისმენ და ერთად დავსახამთ, რა გავაკეთოთ, რომ უკეთ, ეფექტურად ვემსახუროთ ყვარლის მუნიციპალიტეტს და მის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შევიტანოთ.

გივი ზაუტაშვილის ოჯახური იდილია და მოუსვენარი შვილები

„ლამაზი, თბილი, ტკბილი, გემრიელი, ნამდვილი ქართული ოჯახი“, – ასე ახასიათებს გივი ზაუტაშვილი ოჯახს, სადაც ყოველთვის მიუწევს გული, სადაც ყოველთვის არის კომფორტი და სიყვარული. ამ გარემოს ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი მისი რჩეულია, მისი ცხოვრების თანამგზავრი. პროფესიით ბიოლოგი, პედაგოგი მაია წაწიშვილიც, ყვარლელია. თანატოლები არიან, უბრალოდ სხვადასხვა სკოლა დაამთავრეს და ერთმანეთს არ იცნობდნენ.

მათი გზები მაშინ გადაიკვეთა, როცა ბატონმა გივიმ მუშაობა იურიდიულ სამსახურში დაიწყო. ქალბატონი მაია მაშინ იქ კანცელარიაში მუშაობდა. „პრინციპში, სამსახურში მან მიმიღო“, – ხუმრობს კანდიდატი. 1 წლის მერე ქალბატონი მაია სამსახურიდან გაათავისუფლეს, მაგრამ უკვე ჰქონდათ ინტენსიური ურთიერთობა. საერთო სამეგობრო წრეც ჰყავთ – ქალბატონი მაიას თანაკლასელები ბატონი გივის მეგობრებიც არიან.

მალე მიხვდნენ, რომ ერთმანეთი უყვარდათ. დაქორწინება კი, გაცნობიდან 3-4 წლის შემდეგ გადაწყვიტეს. წყვილს 2 შვილი ჰყავს. 9 წლის ვატო და 4 წლის მარიტა. ბავშვები ძალიან ცელქები და მხიარულები არიან. ვატო ძალიან ნიჭიერია. ცოტა დააბნია ვატო დისტანციურმა სწავლებამ, ბოლომდე ვერ გაიაზრა რას ნიშნავს სკოლა, კლასელებთან მეგობრობა, მაგრამ კარგად სწავლობს. მეცადინეობისთვის იმდენად ცოტა დრო სჭირდება, მამას ზოგჯერ ეჭვიც შეჰპარვია, იქნებ კარგად არ სწავლობსო. რამდენჯერმე გადაამოწმა, გაკვეთილები გამოკითხა, სხაპასხუპით ჩააბარა ვატომ მამას ახალი გაკვეთილიც და განვლილი მასალაც. მერე კი, ისევ ეზოში სათამაშოდ გაუწია გულმა.

მოუსვენარია პატარა, მეტიჩარა მარიტაც. ზოგჯერ ძმას „ამწარებს“ კიდეც – აუცილებლად ის ნივთი უნდა მასაც, რასაც ვატო მოჰკიდებს ხელს. ვატოც პატარა დას უმეტესად უთმობს. ასეთი მზრუნველობით გამოირჩევა არა მხოლოდ მარიტას, არამედ ოჯახის ყველა წევრის მიმართ. 9 წლის ვატოს ცხოვრებაში უკვე იყო ისეთი პერიოდი, რითიც მამა განსაკუთრებით ამაყობს: წლების წინ, გივი ზაუტაშვილის გამზრდელ ბებიას ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა. მას კანდიდატის დედა უვლიდა. ამის გამო ქალბატონმა რუსუდანმა სამსახურიდან წამოსვლის გადაწყვეტილება მიიღო. ბევრი ოპერაცია გაუკეთეს უზომოდ ამაგიან, მოსიყვარულე და ყვარელში სახელგანთქმულ, ბებიაქალ თინა ტურაშვილს, მაგრამ მან მაინც დაკარგა მხედველობა 100 პროცენტით. მაშინ პატარა ვატომ დიდი ბებიის მოვლა-პატრონობა „ითავა“ – წყალს, წამალს მიუცუნცულებდა, წამოდგომაში ეხმარებოდა და ნაბიჯს არ გადაადგმევინებდა ისე, ხელკავი არ გაეყარა, არ მიხმარებოდა. „ჩემს საყვარელ თინა ბებოს გადაადგილებაში ეხმარებოდა. ახლაც ხშირად გაცოცხლდება ხოლმე თვალწინ ის კადრები, როგორ გამოჰყავდა ოთახიდან ერთი ციდა ვატოს დიდი ბებო. არანაკლები სიამაყე მეუფლება იმ კუთხითაც, რომ ღირსეული წინაპრების შთამომავალი ვარ, ეს მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს. დედაჩემის პაპა, სიკო ბაიდოშვილი, სრულად ახალგაზრდა, თავისი ნიჭისა და ავტორიტეტის გამო ყვარლის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ დანიშნეს, მაგრამ იმ ავადსახსენებელი რეპრესიების მსხვერპლი გახდა, როგორც ბევრი სხვა ინტელიგენციის წარმომადგენელი. დღეს ამ ღირსეული კაცი შექმნილ ფუძეზე ცხოვრობს ჩემი ოჯახი და თუ რაიმე წვლილს შევიტან ჩემი ხალხის საკეთილდღეოდ, ეს ჩემი დიდი წინაპრის გზის გაგრძელება იქნება“.

თვალები კი განსაკუთრებით უბრწყინდება, როცა მამიკოს გოგოზე გვიამბობს. სხვათა შორის, მამა მარიტასაც განსაკუთრებით უყვარს. ერთხელ, როცა სკვერში ვატოს მეგობარმა ჰკითხა, ვინმე გიყვარსო? მარიტამ ამაყად მიუგო: „კი, როგორ არა, მამა მიყვარს!“ ამიტომაა, რომ მამას ხშირად ურეკავს და ეკითხება, შინ როდის მივა. ბოლო წლებში დრო ძალიან ცოტა აქვს. სამსახურიდან კი შეირბენს ხოლმე, თუნდაც 5 წუთით, მაგრამ ოჯახის წევრებს მაინც მუდმივად ენატრებათ. ამიტომ იწყება ვატოს ყოველი დილა კითხვით: „მამა, დღეს სადმე მიდიხარ?“

თუკი მოხდა ისე, რომ მამა არსად მიდის, ერთად თამაშობენ და გეგმებს აწყობენ. ყველაზე მეტად ერთად გასეირნება უყვართ, ილიას ტბას ხშირად სტუმრობენ.

მაგრამ ყვარელში არის ერთი ადგილი – ნეკრესის მონასტერი და მის გარშემო საოცარი ბუნება, რომელიც გივი ზაუტაშვილს განსაკუთრებით უყვარს. კავკასიონის ქედის განშტოებაზე მდებარე სამონასტრო კომპლექსი მასში ემოციებს აღძრავს, „ირმების გადმოსახედი“ კახეთის მიმართ სიყვარული უფრო უმძაფრდება და რწმუნდება, რომ უფლება არა აქვს მშობლიური ყვარლის უკეთესი მომავლისთვის არ იბრძოლოს!

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ – ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ, ᲛᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲖᲔ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ. ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ყვარლის მუნიციპალიტეტზე,** გამოყოფილია 33 021 028 ლარი, დაფინანსდა 58 434 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (1 736 651 ლარით 124 914 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (2 424 126 ლარით 31 253 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (19 689 969 მილიონი ლარით 13 993 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (6 421 403 ლარით 6810 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 620 706 ლარით 2 755 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 324 990 ლარით 2 795 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, (ივლისის მონაცემებით), პროგრამით, **ყვარლის მუნიციპალიტეტში,** დაფინანსდა 4 099 ბენეფიციარი (260 754 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **ყვარლის მუნიციპალიტეტში,** 2020 წელს, იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 100% იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ყვარელში,** სტაციონარული მკურნალობით 128 (476 981 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 863-მა პაციენტმა (107 588 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 4 559 ორსული (248 887 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 1197.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. 2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ყვარლის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 422 პირი (82 533 ლ).**

2012 წლის შემდეგ, **ყვარლის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ყვარელში,** 2013-2021 წლებში, სულ 404 შემთხვევა 681 040 ლარით დაფინანსდა.

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ყვარლის მუნიციპალიტეტს 41 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2014-2020 წლებში, ყვარლის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ამბულატორიების ნაწილობრივი/სრული რეაბილიტაცია სოფლებში: შილდა (23 405 ლ), სანავარდო (12 147 ლ), წიწკანაანთსერი (32 471 ლ), შაქრიანი (1 198 ლ); ამბულატორიების მშენებლობა სოფლებში: ზღუდერი (65 425 ლ), ბებნისი (67 026), ქ. ყვარელი, საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და მართვის რაიონული ცენტრის მშენებლობა (238 000 ლ) და მიმდებარე ტერიტორიის კეთილომოწყობა (53 968 ლ). **დაგეგმილია** ამბულატორიების მშენებლობა სოფლებში: თივი, ზინოაბიანი, შოროხი, ჩანტლისყურე (თითოეული 85 000 ლ); ამბულატორიების სრული რეაბილიტაცია სოფლებში – ახალსოფელი (50 000 ლ), გრემი, საბუე, ალმატი, ენისელი, ბალღოჯიანი, მთისძირი (თითოეულის რეაბილიტაცია – 30 000 ლარი).

2013 წელთან შედარებით, **5,7-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 267,0 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 47,2 ათასი ლარი იყო.

ყვარელში 2012 წლიდან დღემდე, მუნიციპალიტეტის მიერ ჯანდაცვის სფეროში ხორციელდება შემდეგი პროგრამები: პირველი ჯგუფის ინვალიდების და მძიმე დაავადებით დაავადებული პაციენტების მედიკამენტების შესაძენი თანხით დახმარება, სასწრაფო სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პირის ოჯახის დახმარება, დიალიზის პროგრამით მოსარგებლეთა ტრანსპორტირების ყოველთვიური ხარჯები, იშვიათი, თანდაყოლილი, მძიმე პათოლოგიის მქონე ბავშვთა დახმარება. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფარგლებში მუციციპალიტეტი ასევე ახორციელებს ეპიდზედამხედველობას (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა, მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი), იმუნიზაცის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა და სხვ.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ყვარლის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 6778 პირი. 2012 წლის შემდეგ, თითქმის 2,3-ჯერ – 7 993 492-დან 18 261 178 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 114 131 160 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ყვარელში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 64 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 5,1-ჯერ – 66 930-დან 338 149 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 2 483 945 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **ყვარლის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1111 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ). 2012 წლის შემდეგ, 1,6-ჯერ – 1 465 ათასიდან 2292 ათასი ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 19 561 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 4 999 ათასი, შშმ პირებზე – 1 994 ათასი, ბავშვებზე – 6 485 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ყვარელში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 1517 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6,2-ჯერ – 414 611-დან 2 580 611 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 16 307 598 ლარი. **ყვარელის მუნიციპალიტეტში 84**

დევნილია (01.04.2021 წ.). 2012 წლის შემდეგ, 26 740 ლარიდან 47 295 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 301 797 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან ყვარლის მუნიციპალიტეტში დაკმაყოფილდა 11 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 10 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 1 ოჯახს დაუკანონდა. **საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება.** ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **ყვარელში,** დაფინანსებულია 168 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 613 850 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 307 800 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან **ყვარლის მუნიციპალიტეტზე** – 1 669 895 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** – პროგრამაში, 2020 წელს, ყვარლის მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 702, 2021 წელს – 796 ოჯახი. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი – პროგრამით, მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 189 ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 216-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) – ყვარელში, პროგრამაში, 2020 წ. ჩაერთო 379 პირი, 2021 წ. – 415 (ივნისის მდგომარეობით).

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო საგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი -2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867 ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით, **თითქმის 2-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს, სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 748,8 ათასი ლარი შეადგინა, (2013 წ. – 395,5 ათასი ლ). ყვარელში, 2012 წლიდან დღემდე ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდა/ხორციელდება სოციალური დახმარების 15 მუნიციპალური პროგრამა. მათ შორის, ახალშობილთა ოჯახების დახმარება, სადღესასწაულო დახმარება მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახის დახმარება, სოციალურად დაუცველ და უსახლკარო ოჯახის ბინის ქირის ყოველთვიური ხარჯების დაფინანსება, მარტოხელა დედის სტატუსის მქონე პირებზე და იძულებით გადაადგილებულ ოჯახზე ელექტროენერგიის საფასურის ყოველთვიური თანადაფინანსება, დევნილთა დახმარება, სამამულო ომის ვეტერანებისთვის დახმარება და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ №1 ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘ

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ 2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით. 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.

ყვარელში ფუნქციონირებს 25 მუნიციპალური საბავშვო ბაღი (4 – ქ. ყვარელში, 21 – სოფლად, მათ შორის, 3 არის ალტერნატიული ბაღი).

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ყვარელში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება. 2020 წელს განათლების მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 2 მლნ 750,3 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 1 მლნ 654,1 ათასი – სკოლამდელი განათლების მიმართულებით. 2013 წელს კი შესაბამისი ხარჯები 708 ათასი ლარი იყო.

2013-2020 წლებში, ყვარლის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის 27 პროექტი განხორციელდა, რაზეც, საერთო ჯამში, 2 მლნ 289,5 ათასი ლარი დაიხარჯა. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა: ქ. ყვარლის №1, №2 და №3, სოფ. ახალსოფლის, შილდისა და გრემის საბავშვო ბაღებს – 1 მლნ 465,9 ათასი ლარი; ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა ენისელის, გავაზის, კუჭატნის, შაქრიანის, ახალსოფლის, ბალღოჯიანის, წიწკანაანთსერის, შილდის, მთისძირის, ზინობიანის საბავშვო ბაღებს.

2014-2018 წლებში სრული **რეაბილიტაცია** ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებს ახალსოფელში, ჭიკაანში, მთისძირსა და წიწკანაანთსერში, რაზეც სულ 681,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის: **2015 წელს** განხორციელდა სოფელ ჭიკაანის საბავშვო ბაღის შენობის სრული რეაბილიტაცია (275 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი). **2016 წელს** ქ. ყვარელში (ბოგირის ტერიტორიაზე) აშენდა ახალი ბაგა-ბაღი „გვირილა“ (364,7 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი). **2017 წელს** განხორციელდა: ქ. ყვარლის №1 (62,5 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი), №2 (354,5 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი) და სოფელ გავაზის (86,3 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი) საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია. **2018 წელს**: ქ. ყვარლის №3 (332 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი), ახალსოფლის №2 (361,9 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი) და გრემის (142,3 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი) საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია. ასევე, ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა შილდის, ახალსოფლის №1, გავაზის, ენისელის, ალმატის, ბალღოჯიანის, კუჭატნის, ზინობიანის, გრემის, შაქრიანისა და სანავარდოს საბავშვო ბაღებს (საერთო ჯამში – 167,5 ათასი ლარი); განხორციელდა ყვარლის №2 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია (354,5 ათასი ლარი) და

ყვარლის №1 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი (58, 9 ათასი ლარი).

2019 წელს ქ. ყვარლის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის სრულ რეაბილიტაციას 420 ათასი ლარი მოხმარდა (რეგიონული განვითარების ფონდი); **2020 წელს** განხორციელდა: სოფ. სანავარდოს საბავშვო ბაღში 17 სექტემბრის სტიქიის სედეგად გამოწვეული დაზიანებების რეაბილიტაციის სამუშაოები (2,4 ათასი ლარი); სოფ. წიწკანანთსერში საბავშვო ბაღის შენობების სრული რეაბილიტაცია (271,5 ათასი ლარი (რეგიონული განვითარების ფონდი); სოფ. ალმატის საბავშო ბაგა-ბაღის სრული რეაბილიტაცია (224,4 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი)); სოფელ ბალღოჯიანის საბავშო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია (15,9 ათასი ლარი).

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა** 860-დან 1277-მდე გაიზარდა. 1-დან 2.28 ლარამდე გაიზარდა **კვების** თანხა თითოეულ აღსაზრდელზე, რითაც მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვების **კვების რაციონი. სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია 12 საბავშვო ბაღში, 15 ჯგუფში, პროგრამაში ჩართულია 340 ბავშვი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულია 55 აღმზრდელი, მათგან სასკოლო მზაობის ჯგუფებში – 24. **აღმზრდელთა ხელფასები, 2012 წლის 200 ლართან შედარებით, 445 ლარამდე გაიზარდა.** საბავშვო ბაღებს 22 ექიმი/ექთანი და 2 ფსიქოლოგი ემსახურება. ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომლებმა, პროფესიული განვითარების მიზნით გაიარეს 5 ტრენინგი – „ბაგა-ბაღების მართვა პანდემიის პირობებში“.

ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 21 საჯარო სკოლა (ქალაქში – 2, სოფლად – 19), რომლებშიც 3568 მოსწავლე და 528 მასწავლებელია.

მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 122 სსსმ მოსწავლე. მუნიციპალიტეტის 7 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას 14 მანდატური იცავს. საჯარო სკოლებს 7 ექიმი ემსახურება.

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ყვარლის მუნიციპალიტეტში განახორციელა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგპროგრამა, მათ შორის: პროგრამით – **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“**, საზაფხულო სკოლებში, 2013-2019 წლებში, ნ 105 მოსწავლე იყო ჩართული. **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით, 2014-2018 წლებში, 80 სასკოლო პროექტი/არაფორმალური განათლების წრე დაფინანსდა, 2017-2018 წლებში, ფინანსურად ხელი 158 პროექტს შეეწყო. **ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის** პროგრამით, **„ახალი სკოლის მოდელის“** ფარგლებში, 2019 წელს, სოფ. შილდის №1 საჯარო სკოლას – 29, ჭიკაანის საჯარო სკოლას – 23, სანავარდოს საჯარო სკოლას – 17 ლეპტოპი გადაეცა. 2019-2020 წლებში „ახალი სკოლის“ მოდელი დაინერგა ყვარლის მუნიციპალიტეტის 6 საჯარო სკოლაში, 2021 წელს კი, დამატებით, 4 საჯარო სკოლაში. 2013-2019 წლებში, **ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში,** ჯამში, 1853 მოსწავლე მონაწილეობდა. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** საჯარო სკოლების აღჭურვის 40 პროექტი და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 3 პროექტი განხორციელდა. 2019 წელს, **კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით/ლოკალური უსადენო ქსელით** 2 საჯარო სკოლა აღიჭურვა. 2016-2019 წლებში, ყვარელში, საჯარო სკოლების **შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 30 პროექტი განხორციელდა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით 4 საჯარო სკოლის (8 მიმართულება) 73 მოსწავლემ ისარგებლა (2018-2019 ს/წ I სემესტრი). 2017-2020 წლებში, საჯარო სკოლებს ჯამში, 810 **სასკოლო ჟურნალი** და 82990 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“,** 2013-2019 წლებში, პირველკლასელებს საჩუქრად გადაეცათ 2253 კომპიუტერი, კლასის დამრიგებლებს – 153, ლეპტოპებით დასაჩუქრდა 199 წარჩინებული მოსწავლე. 2013-2019 წლებში, ყვარლის საჯარო სკოლებში, ჯამში, 203 **ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით** კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, ყვარლის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 36 პროექტი განხორციელდა, ადაპტირებულია მუნიციპალიტეტის 15 საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია 18 საჯარო სკლა. მათ შორის: **2013 წელს** განხორციელდა 4 სკოლის (შილდის №2, ალმატის, გრემის და ენისლის) რეაბილიტაცია, რაზეც სულ 244 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014 წელს** რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 სკოლას (მთისძირის, ჩანტლისყურის, შილდის №1, მთისძირის, ახალსოფლის №1 და ყვარლის №2), რაზეც სულ 437,4 ათასი ლარი დაიხარჯა; **2015 წელს** რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 სკოლას (ახალსოფლის №1, გავაზის, მთისძირის, ალმატის, კუჭატნის და შილდის №1), რაზეც სულ 271,1 ათასი ლარი დაიხარჯა; **2016 წელს** განხორციელდა 5 სკოლის (ენისლის, ყვარლის №1, შილდის №1, საბუესა და გრემის) რეაბილიტაცია, რაზეც სულ 169,3 ათასი ლარი დაიხარჯა. **2017 წელს:** განხორციელილდა 2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (საროს და ახალსოფლის №2), დაიხარჯა 23,2 ათასი ლარი; 2 საჯარო საარო სკოლაში მოეწყო გათბობის სისტემა (ენისელისა და შილდის) – დაიხარჯა 228,5 ათასი ლარი. საბუეს საჯარო სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი – 5,3 ათასი ლარი. **2018 წელს** დასრულდა სოფელ ენისელის ილია შავერდოშვილის სახელობის საჯარო სკოლის (ოპტიმიზებული სოფელ შაქრიანის სკოლა) მშენებლობა. დაფინანსდა 3 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (შილდის №2, ენისელი, საბუე) დაიხარჯა – 162,6 ათასი ლარი. **2019** სასწავლო წლისთვის ყვარლის მუნიციპალიტეტის 10 საჯარო სკოლაში განხრციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაზეც, საერთო ჯამში 425,7 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის: ქ. ყვარლის №1, ახალსოფლის №2, შილდის №2, გავაზის, საბუეს, ჩანტლისყურის, ზინობიანის, კუჭატნის საჯარო სკოლები.

2020 წელს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით ყვარლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სველი წერტილების რეაბილიტაციის 10 პროექტი განხორციელდა, რაზეც, საერთო ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 629,5 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, სველი წერტილები მოეწყო ქ. ყვარლის №1 და №2, სოფელ ალმატის, ზინობიანის, ენისლის, შილდის №2, გრემის, მთისძირის, ბალღოჯიანის საჯარო სკოლებში. **ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველა საჯარო და კერძო სკოლაში მოწესრიგდა და სტანდარტთან შესაბამისი გახდა სველი წერტილები, აშენდა სოფელ შაქრიანის სკოლის ახალი შენობა.**

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ – ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ:

- სისტემური ცვლილებები ყველასთვის ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის უზრუნველმყოფი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის ჩამოსაყალიბებლად, ხელი შეეწყობა ხელმისაწვდომობის ზრდას ხარისხიან ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე:
- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, შემუშავდება და დამტკიცდება სამოქმედო გეგმა ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველსაყოფად;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის, გრემში (შაქრიანის ბაგა-ბაღი) აშენდება ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას;
- განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- 2025 წლამდე დაგეგმილია საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 13 პროექტი, რაზეც, საერთო ჯამში, 1 მლნ 505 ათასი ლარი დაიხარჯება; მათ შორის, რეაბილიტაცია ჩაუტარდება: ქ. ყვარლის №2, სოფ. ახალსოფლის №1, შილდის №1 ,ჭიკაანის, თივის, წიწკანაანთსერის, კუჭატნის, ახალსოფლის №2, შილდის №2, მთისძირის, სანავარდოს საჯარო სკოლებს;
- 2021 წლიდან დაგეგმილია ყვარლის მუნიციპალიტეტში 6 სკოლის რეაბილიტაცია (ბალღოჯიანის, ენისლის, შილდის №2, საბუეს, გრემისა და ალმატის). მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში მოეწყობა სამედიცინო ოთახები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ყვარელში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობასამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ: ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ, ᲡᲡᲘᲞ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ, ᲒᲠᲔᲛᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲙᲝᲢᲔ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲗᲝ თეატრი (2017 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ – ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ), ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, ᲡᲝᲤ. ᲨᲘᲚᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲭᲘᲙᲐᲐᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ.

2013 ᲬᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ **�გᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ.** 2020 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲨᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲛ 968,8 ᲚᲐᲠᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ, 2013 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲘ 567. 2 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ.

2014-2018 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ �გᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ „ᲘᲚᲘᲐᲝᲑᲐ“ (ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ), ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ, ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲣᲚᲘ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ, ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲦᲐᲛᲔ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ“, ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲜᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ, ᲔᲬᲧᲝᲑᲐ �გᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ, ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ თემატური საღამოები, ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲔᲑᲘ (ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ – ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ) ᲓᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ (ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲘ) ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

2014-2021 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ-ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ:

2013 ᲬᲔᲚᲘ – ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ (15,7 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲡᲝᲤᲔᲚ ᲖᲘᲜᲝᲑᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ (9,9 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲐᲮᲐᲚᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲪᲔᲙᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ (68,4 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); **2014 ᲬᲔᲚᲘ** – ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲨᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲡᲢᲠᲐᲓᲝ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲞᲔᲢᲘᲪᲘᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ (10 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲐᲮᲐᲚᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲪᲔᲙᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ (14,4 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); **2015 ᲬᲔᲚᲘ** – ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲨᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲝᲗᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ (7 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲡᲝᲤ. ᲙᲣᲭᲐᲢᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ – 9,5 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ; Ქ. ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲑᲐᲠᲔᲚᲘᲔᲤᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ – 11,7 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ.

2016 ᲬᲔᲚᲘ – ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲨᲘ, ᲘᲚᲘᲐᲡ �გᲝᲠᲐᲖᲔ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ (27,3 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲡᲝᲤ. ᲨᲘᲚᲓᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ (77,7 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ).

2017 ᲬᲔᲚᲡ: ᲡᲝᲤᲔᲚ ᲭᲘᲙᲐᲐᲜᲨᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ – 71,1 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ (ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ).

2018 ᲬᲔᲚᲡ: ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲙᲝᲛ�პᲚᲔᲥᲡᲨᲘ ᲨᲔᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲙᲝᲨᲙᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛ�პᲚᲔᲥᲡᲨᲘ ᲨᲔᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲐ�პᲠᲝᲔᲥᲢᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ – 53 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ).

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

2020 ᲬᲔᲚᲡ ᲐᲦᲐᲓ�გᲘᲜᲔᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲭᲘᲙᲐᲐᲜᲨᲘ, ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲓ, ᲡᲢᲘᲥᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲙᲝᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲦᲝᲑᲔ (3,5 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲡᲝᲤᲔᲚ ᲙᲣᲭᲐᲢᲐᲜᲨᲘ, ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲡᲐᲪᲔᲙᲕᲐᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ (24,2 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ).

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲖᲜᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ: ᲡᲡᲘᲞ „ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ” ᲡᲐ�გᲐᲛᲝᲤᲔᲜᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲖᲔ ᲡᲐᲕᲔᲜᲢᲘᲚᲐᲪᲘᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ (27,3 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲓᲝᲚᲝᲭᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲛᲜᲐᲕᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲖᲘᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ (120,3 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲘᲜᲤᲝᲢᲣᲠᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛ-ᲜᲐᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲨᲘ – ᲒᲠᲔᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲤᲚᲘᲡᲪᲘᲮᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛ-ᲜᲐᲙᲠᲫᲐᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲐ ᲓᲐ �გᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ (5 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲡᲐᲛᲣᲖᲔᲣᲛᲝ ᲙᲐᲢᲐᲚᲝ�გᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛ-ᲜᲐᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ („ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲐᲠᲢᲔᲤᲐᲥᲢᲘ“) – ᲡᲔᲠᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ �გᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ: �გᲠᲔᲛᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ (13 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲒᲠᲔᲛᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲫᲘᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛ-ᲜᲐᲙᲠᲫᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲘᲡᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ (11, 5 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲡᲡᲘᲞ „ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ“ ᲡᲐ�გᲐᲛᲝᲤᲔᲜᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲜᲓᲡᲐᲪᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲓᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐ (4,9 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲡᲡᲘᲞ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘᲡ 6 ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ – ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲨᲘ (ᲡᲣᲚ – 24 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); „ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘ – ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲡᲞᲐᲜᲔᲑᲘ“ (ᲡᲣᲚ – 2,5 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲘᲝᲐᲜᲔ ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲛᲪᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲜᲐᲕᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲖᲘᲚᲘᲙᲘᲡ �გᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ (19,8 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲓᲝᲚᲝᲭᲝᲞᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ (ᲡᲣᲚ – 79,9 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲒᲠᲔᲛᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ: ᲛᲘᲜᲘᲡ �გᲣᲛᲑᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲜᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ �გᲐᲓᲐᲮᲣᲠᲕᲐ (25,1 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲙᲝᲨᲙᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ; ᲒᲠᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛ�პᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲢᲔ ᲜᲘᲨᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ.

2016 ᲬᲔᲚᲡ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲗ, �გᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ: ᲒᲠᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲖᲔᲣᲛᲝ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲡᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲝ-ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ (25,1 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲡᲐᲑᲣᲔᲡ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲛᲪᲛᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲖᲘᲚᲘᲙᲘᲡ �გᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ (18,8 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ);

2017 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲗ �გᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲓᲝᲚᲝᲭᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲛᲜᲐᲕᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲖᲘᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ (36 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ);

2018 ᲬᲔᲚᲡ, ᲡᲝᲤᲔᲚ ᲔᲜᲘᲡᲔᲚᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ �გᲣᲛᲑᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ �გᲐᲓᲐᲮᲣᲠᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲡ 16,5 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲓᲐ, ᲓᲝᲚᲝᲭᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲛᲜᲐᲕᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲖᲘᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲖᲔ ᲙᲘ 67 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ. **2019 ᲬᲔᲚᲡ** ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲛ ᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲪᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲙᲝᲨᲙᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ (II ᲔᲢᲐ�პᲘ) 11 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘᲗ ᲓᲐᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲐ, ᲒᲠᲔᲛᲘᲡ ᲜᲐᲥᲐᲚᲐᲥᲐᲠᲘᲡ ᲐᲑᲐᲜᲝᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲖᲔ ᲙᲘ 38 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ. **2020 ᲬᲔᲚᲡ**, ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝ�გᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ �გᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲡᲐᲑᲣᲔᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛ�პᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐ�გᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ (40 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ), ᲒᲠᲔᲛᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲙᲚᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲖᲔ ᲙᲘ (ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ) 148,3 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲓᲐᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲒᲠᲔᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ, 2013-2021 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ, 120 696 ᲓᲐᲛᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲓᲐ. ᲘᲛᲐᲕᲔ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ 15 �თემატური გამოფენა მოეწყო.

ᲐᲡᲔᲕᲔ �გᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ: ᲭᲘᲙᲐᲐᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ (93 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲨᲘᲚᲓᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚ

ლიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში კულტურული ტურიზმის განვითარებას.

სპორტი

ყვარლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ „ყვარლის კომპლექსური სასპორტო სკოლა“ (2021 წლის მდგომარეობით, სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 684-ია, მწვრთნელთა რაოდენობა კი – 38, მათ შორის 4 – საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი) და ფრენბურთის კლუბი „ყვარელი“ (40 სპორტსმენი), ბავშვთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა (სულ 6 ჯგუფი; ბავშვთა რაოდენობა-270; მწვრთელი – 12).

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სპორტის მიმართულების ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 725,7 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 398,8 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სპორტის სახეობებია: თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ფრენბურთი, ხელბურთი, კალათბურთი, კრივი, ქართული ჭიდაობა, კარატე და ჭადრაკი.

ყვარლის მუნიციპალიტეტში მაღალი მიღწევების მქონე სახეობებია ჭიდაობა, ფრენბურთი, ხელბურთი. ამ სახეობების განვითარებისთვის ეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მაგ. სოფ. შილდაში ძიუდოს სკოლა გაიხსნა. სოფ. ახალსოფელში შენდება დიდი სასპორტო სკოლა, გარე საჭიდაო მოედნები გაიხსნა სოფ. გავაზში, სოფ. შილდსა და სოფ. ახალსოფელში. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ისწავლება საბავშვო ძიუდო, შილდაში გარე სტადიონი აშენდა მინი ფეხბურთისთვის და ა.შ.

2014-2019 წლებში აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგები. მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი სპორტსმენები და სპორტული გუნდები მონაწილეობენ რესპუბლიკურ, საერთაშორისო, ევროპულ და მსოფლიო სპორტულ ასპარეზობებში და საპრიზო ადგილებს იკავებენ. მუნიციპალიტეტში მუდმივად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. მათ შორის, სოფლის სახალხო დღესასწაულებზე ჭიდაობის პოპულარიზაციისთვის ცნობილი სახეების ჩამოყვანა და გამარჯვებულების დაჯილდოება. ყვარლის „ილიას ტბაზე“ მუდმივად ეწყობა ხელბურთისა და მინიფეხბურთის ჩემპიონატები და სხვ.

2013-2019 წლებში ყვარლის მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის 8 პროექტის განხორციელებაზე, საერთო ჯამში, 282,2 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, განხორციელდა მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია სოფელ სანავარდოში, ენისელსა და შილდაში, ფრენბურთის მოედანზე ბადეების შეძენა და მონტაჟი სოფელ ახალსოფელში, ფეხბურთის კლუბისთვის ინვენტარის შეძენა სოფელ გავაზში, ახალი მინისტადიონის მშენებლობა სოფელ მთისძირში, მინი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა სოფელ ალმატში.

2014-2015 წლებში განხორციელდა სოფ. ახალსოფლის კულტურულ-სპორტულ გამაჯასაღებელი ცენტრის რეაბილიტაცია (სპორტული კომპლექსის კაპიტალურ რეაბილიტაცია მიმდებარე ტერიტორიის კეთლმოწყობით) – 680 ათასი ლარი. სარეაბილიტაციოს სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

2016 წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა სოფ. ალმატში მინი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობის პროექტი, სრული ღირებულებით 74,6 ათასი ლარი.

2019 წელს – სოფ. გავაზში არსებულ სპორტული მოედნის ტერიტორიაზე საჭიდაო მოედნების მოწყობის პროექტი – 153 ათასი ლარი.

2020 წელს – სოფ. ენისელში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი – 166,7 ათასი ლარი.

2021 წელს დასრულდა სპორტული დარბაზის მშენებლობა სოფელ ახალსოფელში – 1 მლნ 688 ათასი ლარი; სოფელ შილდის კლუბის ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ სპორტულ მინიმოედანზე დაიგო მწვანე საფარი და მოეწყო გარე განათება (67,6 ათასი ლარი); სპორტული მინისტადიონების რეაბილიტაცია განხორციელდა სოფელ ალმატსა (8,3 ათასი ლარი) და ჭიკაანში (18, 6 ათასი ლარი); სოფელ საბუეში სტადიონის რეაბილიტაციას 36 ათასი ლარი მოხმარდა, სოფელ ზინოაბიანში სპორტდარბაზის რეაბილიტაციაზე 17,1 ათასი ლარი დაიხარჯა. გარე სავარჯიშო მოწყობილობა დაიდგა სოფელ ჩანტლისყურეში (16,1 ათასი ლარი);

2019 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ყვარლის სტადიონის რეაბილიტაცია – პროექტის ღირებულება 14 მლნ 952,5 ათასი ლარია. ასევე მიმდინარეობს საჭიდაო მოედნის მშენებლობა სოფელ გავაზში (153 ათასი ლარი).

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახეობის შიდა ჩემპიონატები ჩაატარეს, სამინისტრომ ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობების მშენებლობა და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენაც დააფინანსა, ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. მათ შორის: 2013-2018 წლებში, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 10 შიდა ჩემპიონატი (დაიხარჯა 140,5 ათასი ლარი) და 20 სასწავლო-საწვრთნელი შეკრება (დაიხარჯა 555,9 ათასი ლარი) ჩაატარეს. სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობაც დააფინანსა (დაიხარჯა 14,4 ათასი ლარი).

2018-2019 წლებში მოეწყო მსოფლიო რბენა – „Wings for Life”.

2018-2020 წლებში ჩატარდა ევროპის სპორტის კვირეული, აღინიშნა საერთაშორისო დღე – „სპორტი მშვიდობის და განვითარებისთვის”

ახალგაზრდული პოლიტიკა

ახალგაზრდობის სფეროში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: „ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში“ ტრენინგ-სემინარი „პროექტების მართვა და მენეჯმენტი“; World Run – შშმ პირთა დასაქმება (30 მონაწილე); „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობა მიიღეს 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); „მოხალისეობის განვითარების პროგრამა“ (რეგიონის მასშტაბით 2-2 მონაწილე თითოეული მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, განხორციელდა სხვადასხვა პროექტები. მათ შორის, დასუფთავების აქციები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, შემეცნებით-გასართობი ღონისძიებები და ა.შ.

2018 წლის მარტში შეიქმნა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგიის დოკუმენტი, რომლის მიზანია ახალგაზრდების განვითარებისათვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვას; ახალგაზრდული სტრატეგიის დოკუმენტიდან გამომდინრე, შეიქმნა სამოქმედო გეგმა.

2020-2021 წლებში, ახალგაზრდული სტრატეგიის დოკუმენტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტმა განახორციელა პროექტი – „იდეების კონკურსი“, რომელიც ითვალისწინებს კონკურსში მონაწილე ახალგაზრდების განათლებას და გამარჯვებული კონკურსანტების დაფინანსებას. ეს პროექტი უკვე სამ ეტაპად განხორციელდა და გამარჯვებული ბიზნესიდეების განხორციელებისთვის მუნიციპალიტეტმა 160 ათასი ლარი გამოყო.

მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2021 წლის 5 აპრილს, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსა და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ყვარლის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- 2021-2022 წლებში, დაგეგმილია გრემის ტაძარის გადახურვის სამუშაოები და გრემის აბანოს რეაბილიტაცია, გრემის კომპლექსის რეაბილიტაცია;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- დაგეგმილია ახალგაზრდული სივრცეების გამოყოფა, ახალგაზრდული მუშაკების საქმიანობის როლის გაზრდის მიზნით, მიმდინარეობს ახალგაზრდული მუშაკების გადამზადება და ონლაინტრენინგები;
- დაგეგმილია „ილიას ტბის“ საფეხბურთო სტადიონის საფარის განახლება და სოფ. საბუეში გარე სახელბურთო მოედნის მოწყობა; ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, განხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები ალკოჰოლის, სიგარეტისა და ნარკოტიკის მოხმარებაზე, სწორ კვებაზე, აზარტულ თამაშებსა და სხვ.;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისსპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია:
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

დურუჯის სტადიონი

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

ჩემო ყვარლელებო! ჩემთვის უდიდესი პატივია, რომ პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატად წარმადგინა, რისთვისაც მსურს, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ასეთი ნდობა გამომიცხადა.

გარწმუნებთ, თქვენი, ჩემი ყვარლელების მხარდაჭერის შემთხვევაში, პირნათლად შევასრულებ საკუთარ მოვალეობას და ჩემს გუნდთან ერთად, მთელ რესურსს ჩვენი ქალაქის, აქ მცხოვრები ადამიანების წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების დასაძლევად მივმართავ, მით უმეტეს, რომ კარგად ვიცი, რა საჭიროებები აქვს ყვარელსა და თითოეულ სოფელს.

ვიცი, წინ არაერთი გამოწვევაა, იქნება ეს ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურული თუ სხვა მიმართულებებით. ამ გამოწვევების დასაძლევად კი დაუღალავი შრომაა საჭირო.

ვოცნებობ, საკუთარი წვლილი შევიტანო ჩვენი ყვარლის, ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, შესაბამისად, გპირდებით, მერად არჩევის შემთხვევაში, არ დავიშურებ ძალასა და ენერგიას, ყველა თაობა შევაკავშიროთ და ერთობლივად ვაშენოთ ჩვენი მომავალი, რათა მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ყვარელი გახდეს უფრო წარმატებული, ვიდრე დღესაა.

ერთად დგომით აუცილებლად გავიმარჯვებთ, ყვარელი გაიმარჯვებს!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.